



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება: ბ49.49221362

თარიღი: 16/05/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
თეიმურაზი ჭეიშვილის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **თეიმურაზი ჭეიშვილი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მივლინებული იქნეს ლიეტუვაში, შილუტეს რაიონის მერის მიწვევით, 2022 წლის 26-29 მაისს, ქალაქ შილუტეს 511-ე წლისთავის იუბილეზე, ქალაქ წყალტუბოსა და შილუტეს რაიონს შორის მეგობრობისა და ერთობლივი მოღვაწეობის მიზნით.
2. საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კობა გურეშიძეს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

